

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორებს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს - შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ჯგუფის აუდიტის დაგეგმვა და განხორციელება, საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 1 აპრილი

თბილისი, საქართველო

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	43,396	43,420
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	8	(32,408)	(31,005)
საერთო მოგება		10,988	12,415
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,651)	(5,694)
საოპერაციო მოგება		5,337	6,721
ფინანსური შემოსავალი	10	837	947
ფინანსური დანახარჯები	10	(1,356)	(1,367)
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ხარჯები		–	(3,136)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		287	(321)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	586	692
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11	(764)	(556)
მოგება დაბეგვრამდე		4,927	2,980
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		4,927	2,980
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
საკუროსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშებიდან		(1,976)	210
წლის სხვა მთლიანი სრული მოგება		2,951	3,190

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 1 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფარხატ ტაშიბაიევი

მმართველი დირექტორი ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით

დამირ მუსლიმოვი

უფროსი ბუღალტერი

ტემირხან მამეშოვი

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	43,396	43,420
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	8	(32,408)	(31,005)
საერთო მოგება		10,988	12,415
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,651)	(5,694)
საოპერაციო მოგება		5,337	6,721
ფინანსური შემოსავალი	10	837	947
ფინანსური დანახარჯები	10	(1,356)	(1,367)
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ხარჯები		–	(3,136)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		287	(321)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	586	692
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11	(764)	(556)
მოგება დაბეგვრამდე		4,927	2,980
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		4,927	2,980
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
საკურსო სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშებიდან		(1,976)	210
წლის სხვა მთლიანი სრული მოგება		2,951	3,190

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 1 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფარხატ ტაშიბაიევი

მმართველი დირექტორი ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით

დამირ მუსლიმოვი

უფროსი ბუღალტერი

ტემირხან მამეშვი

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	110,601	109,142
არამატერიალური აქტივები	13	2,995	3,185
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	22.1	1,201	1,262
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	22.2	254	254
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		321	475
სულ გრძელვადიანი აქტივები		115,372	114,318
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	14	2,442	2,692
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	2,498	2,616
გადახდილი ავანსი		336	223
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		1,799	1,840
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	22.1	680	680
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	11,736	11,294
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,491	19,345
სულ აქტივები		134,863	133,663
საკუთარი კაპიტალი	17		
საწესდებო კაპიტალი		911	911
დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი		115	115
გადაფასების რეზერვი		56,935	58,409
საკურსო სხვაობის რეზერვი		(19,740)	(17,764)
გაუნაწილებელი მოგება		13,724	7,323
სულ საკუთარი კაპიტალი		51,945	48,994
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	18	16,882	16,526
გადავადებული ამონაგები	22.5	905	905
სხვა ვალდებულებები		632	—
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,419	17,431
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	18	14,534	14,534
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	19	46,226	49,054
ანარიცხები	20	3,061	3,066
სხვა ვალდებულებები		678	584
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		64,499	67,238
სულ ვალდებულებები		82,918	84,669
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		134,863	133,663

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	დამატებითი მთლიანად ანაზღაურე- ბული			საკურსო სხვაობის რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი			
2022 წლის 31 დეკემბერი	911	115	60,085	(17,974)	2,667	45,804
წლის მოგება	–	–	–	–	2,980	2,980
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	210	–	210
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	210	2,980	3,190
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის შემცირება	–	–	(10)	–	10	–
ცვეთის გადატანა	–	–	(1,666)	–	1,666	–
2023 წლის 31 დეკემბერი	911	115	58,409	(17,764)	7,323	48,994
წლის მოგება	–	–	–	–	4,927	4,927
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(1,976)	–	(1,976)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალ ი)	–	–	–	(1,976)	4,927	2,951
ცვეთის გადატანა	–	–	(1,474)	–	1,474	–
2024 წლის 31 დეკემბერი	911	115	56,935	(19,740)	13,724	51,945

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		4,927	2,980
არაფულადი კორექტირებები გადასახადით დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	4,777	4,744
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	587	656
ცვლილების დინამიკა ანარიცხებში	20	(5)	41
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		95	4
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი) საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობებზე		(35)	(4)
ფინანსური დანახარჯები	10	1,356	1,367
ფინანსური შემოსავალი	10	(837)	(947)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
ცვლილება მარაგებში		250	291
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(469)	(1,353)
ცვლილება საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში		61	61
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(113)	(121)
ცვლილება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		41	(245)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(2,366)	2,607
ცვლილება გადავადებულ ამონაგებში		–	(4,006)
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		726	(131)
		8,995	5,944
მიღებული პროცენტი	16	781	895
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		9,776	6,839
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(7,918)	(11,681)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(104)	(87)
ფინანსური იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		56	52
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(7,966)	(11,716)
საფინანსო საქმიანობა			
ნასესხები სახსრების დაფარვა	24	(1,000)	(1,021)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,000)	(1,021)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		810	(5,898)
წმინდა საკურსო სხვაობა		(368)	32
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	16	11,294	17,160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	16	11,736	11,294

5-37 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს ქალაქ ბათუმში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური მისამართია წმიდა სევერიან აჭარელის ქ. 4გ, ბათუმი, საქართველო. საქართველოს შემოსავლების სამსახურში კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 245432544.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციას. კომპანია ახორციელებს შვილობილი საწარმოს - შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245383678) კონტროლს 49 წლის განმავლობაში, 2006 წლის 22 ივლისით დათარიღებული ექსკლუზიური მართვის უფლების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურში“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იან წილზე.

სს „ყაზტრანსოილი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“) ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელია. მშობელი საწარმო ყაზახეთში მდებარეობს. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“) არის ფონდი „Samruk-Kazyna National Welfare Fund“, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფი ფლობს და მართავს საქართველოში, ქალაქ ბათუმში მდებარე მრავალფუნქციურ საზღვაო ნავსადგურს (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“). ბათუმის საზღვაო ნავსადგური მოიცავს ნავთობტერმინალებს, საკონტეინერო ტერმინალს, სანავსადგომო კომპლექსს ბორნების მომსახურებისთვის, მშრალი ტვირთების ტერმინალს და სამგზავრო ტერმინალებს. მშრალი ტვირთების, ნავთობის და სამგზავრო ტერმინალებს, ასევე სანავსადგურო მომსახურებას ჯგუფი ახორციელებს. საკონტეინერო და საბორნე ტერმინალები იჯარით არის გადაცემული სხვა ოპერატორებზე (იხ. 22-ე შენიშვნა).

ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ პარტნიორთა კრებაზე. პარტნიორთა კრება ჩვეულებრივ საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის პირველ ნახევარში ტარდება.

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია გადაფასებული ღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში („აშშ დოლარი“) და ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ საფუძველზე, რომ ის განაგრძობს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდებზე.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია შეერთებული შტატების დოლარში („აშშ დოლარი“). ეს ვალუტა კომპანიის სამუშაო ვალუტაც არის. შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“).

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის საწარმოების მიერ აღირიცხება, შესაბამისი სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით იმ თარიღში, როდესაც პირველად მოხდა გარიგების აღიარება.

ფულადი ერთეულების ანგარიშსწორების ან გადაანგარიშებისას წარმოქმნილი სხვაობები აღიარებულია სრულ შემოსავალში. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები გადაანგარიშდება, იმ თარიღის გაცვლითი კურსით, როდესაც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულება.

კონსოლიდაციისას, უცხოური ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები აშშ დოლარში კონვერტირდება, საანგარიშგებო თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით და მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გარიგების თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით გადაანგარიშდება. კონსოლიდირების მიზნით გადაანგარიშებით მიღებული საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა ამონაგები

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალის თუ აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა ამონაგები (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

გადატვირთვის და სანავსადგურო მომსახურებები

ამონაგები მშრალი ტვირთის გადატვირთვის და სანავსადგურო მომსახურებებიდან აღიარდება საანგარიშგებო პერიოდში ტრანსპორტირებული მშრალი ტვირთის ფაქტობრივი მოცულობის და გაწეული სანავსადგურო მომსახურების საფუძველზე.

ამონაგები სასაწყობე მომსახურებიდან

ამონაგები სასაწყობე მომსახურებებიდან ხელშეკრულებაში განსაზღვრულ კონკრეტულ საფასურს წარმოადგენს და აღიარდება შესაბამისი მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილებისთანავე.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აისახება ამონაგების მუხლში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯებში შემავალი სხვა გადასახადები.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ნებისმიერი გადაფასების ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ირიცხება აქტივის გადაფასების რეზერვში, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის ნაწილშია შესული. თუმცა თუ იგი აღადგენს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რაც მანამდე მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასებით მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გადაფარავს იმავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რომელიც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივების გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების თავდაპირველი თვითღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გასხვისებისას, გაყიდულ, იჯარით გაცემულ ან ლიკვიდირებულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	60 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	50 წლამდე
ტრანსპორტი	37 წლამდე
სხვა გრძელვადიანი აქტივები	25 წლამდე

აქტივების ცვეთა იწყება მათი შეძენის თვიდან, ან, საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასვლის დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

იჯარები

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მემკვიდრე

იჯარა, რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის ყოველი თარიღისთვის.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასი. მარაგები ხარჯებად ტარდება „პირველი შემოსული პირველი გადის“ (ე.წ. „ფიფო“) მეთოდის გამოყენებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი არ წარმოქმნის ფულად სახსრებს, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ქონებისა, რომელიც მანამდე გადაფასდა და გადაფასება აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან ბანკში. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები (გაგრძელება)

თუ ფულის დროითი ღირებულების ეფექტი არსებითია, ანარიცხები დისკონტირდება მიმდინარე გადასახადით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც შესაბამის შემთხვევაში ასახავს ვალდებულების შესაბამის ვალდებულებას. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ყველა გარიგება თვითღირებულებით ფასდება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფასს სტანდარტებში, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული). ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16-ის შესწორებები - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის შესწორებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება.

ცვლილებებს გავლენა არ აქვთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1-ის შესწორებები - ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

ბასს (IAS) 1-ის შესწორებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. შესწორებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

შესწორებებს გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე და არ გამოუწვევია დამატებითი განმარტებითი შენიშვნები საჭიროება.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის შესწორებები
ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) შესწორებები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. შესწორებებში განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ცვლილებებს გავლენა არ აქვთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – შესწორებები ბასს (IAS) 21-ში 2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა შესწორებები ბასს (IAS) 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. შესწორებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. შესწორებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელი არ არის რომ ამ შესწორებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, საწყის ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე. ამასთან, მცირემასშტაბიანი შესწორებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაბრებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი შესწორებებიც.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების შესწორებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს შესწორებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებებზე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს (IFRS) 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულებების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება:

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. ჯგუფის შეფასებით, მას არ ექნება უფლება აირჩიოს ფასს (IFRS) 19-ის გამოყენება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებით არსებული განუსაზღვრელობის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

განსჯა

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ შემდეგი სახის განსჯა გამოიყენა, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენ აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

ფინანსური იჯარის ვალდებულება - ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფმა გააფორმა კიდევ ერთი საიჯარო შეთანხმება შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების, ბორნების მომსახურებისთვის სანავსადგომო კომპლექსის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე. იჯარა 2007 წლის აპრილში გაფორმდა 48 წლიანი ვადით, რომელიც 2055 წლის 30 ივნისს იწურება. ჯგუფმა ამ შეთანხმებების პირობების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ მას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს ამ ქონების ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, გარდა მიწის ნაკვეთისა. შესაბამისად, ჯგუფმა საიჯარო გადახდები გადაანაწილა ფინანსური და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, თითოეული ელემენტის იჯარის უფლებით ფლობის სამართლიანი ღირებულების პროპორციულად.

იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული განსჯა გავლენას ახდენს მათ აღრიცხვაზე და შეიძლება ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე არსებითად იმოქმედოს.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი შესწორებები აისახება დაშვებებში მათი დადგომისთანავე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ჯგუფმა აღიარა რეზერვები სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების პერსპექტიულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 7,915 აშშ დოლარის (2023 წ.: 7,404 აშშ დოლარი) ოდენობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-15 შენიშვნა).

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხები

არსებობს განუსაზღვრელობა რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. ინტერპრეტაციებში ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე. ჩატარებული შეფასების საფუძველზე, ჯგუფს არ შეუდგენია ანარიცხები საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მხრიდან ინსპექტირების შესაძლო შედეგებისთვის. შეფასება სხვადასხვა ფაქტორებს ეფუძნება, კერძოდ წინა საგადასახადო ინსპექტირებებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბუხრი კომპანიისა და შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. 22.6 შენიშვნაში განხილულია ბოლო საგადასახადო შემოწმების შედეგები და სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები.

6. ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 45,008 აშშ დოლარით (2023 წ.: 47,893 აშშ დოლარი) აღემატება. მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია სესხები და ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა მიმდინარე პოზიცია არადაკავშირებულ მესამე მხარეებთან დადებითია და 8,487 აშშ დოლარს (2023 წ.: 6,083 აშშ დოლარი) შეადგენს.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მიიღო 2025 წლის 22 იანვრით დათარიღებული წერილი, რომლითაც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო ადასტურებს, რომ არ მოითხოვს მითითებული სესხების, ნასესხები სახსრების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვას ჯგუფის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, თუ ამგვარი დაფარვა კომპანიას ზიანს მიაყენებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამგვარი ვალდებულებების მთლიანმა ღირებულებამ 54,509 აშშ დოლარი შეადგინა.

ამასთან, ჯგუფმა მშობელი საწარმოსგან მიიღო 2025 წლის 23 იანვრით დათარიღებული მხარდაჭერის წერილი, რომლითაც მშობელი საწარმო ადასტურებს თავის განზრახვას მხარი დაუჭიროს ჯგუფის ოპერაციებს, განჭვრეტად მომავალში ამგვარი საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ ჯგუფი დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და განაგრძობს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. მომზადების საფუძველი ახდენს დაშვებას, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ მოკლევადიანი ვალდებულებები მოთხოვნილი იქნება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში, თუ ამგვარი გადახდა საზიანო იქნება ჯგუფისთვის და მშობელი საწარმო მას ფინანსურად დაეხმარება, თუ ამგვარი საჭიროება წარმოიშობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

7. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები ნავთობპროდუქტების გადატვირთვიდან	20,193	20,742
სანავსადგურო მოსაკრებელი და სერვისები	10,141	10,847
მშრალი ტვირთების ტერმინალი	7,676	6,586
ამონაგები სასაწყობე მომსახურებიდან	3,470	3,567
სხვა ამონაგები	400	229
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	41,880	41,971
საიჯარო შემოსავალი (22.1 შენიშვნა)	1,516	1,449
მთლიანი ამონაგები	43,396	43,420

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სახელშეკრულებო ნაშთი 2,498 აშშ დოლარის (2023 წ.: 2,616 აშშ დოლარი) ოდენობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით იზღუდებოდა, რეზერვის გამოკლებით.

8. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები	14,487	14,251
მასალის პირდაპირი დანახარჯები	6,125	5,866
ცვეთა და ამორტიზაცია	4,668	4,633
რემონტი და ტექმომსახურება	1,297	843
სახანძრო უსაფრთხოება და დაცვა	1,236	1,180
ელექტროენერგია	997	906
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	872	440
ქონების და მიწის გადასახადი	746	798
სხვა ხარჯები	1,980	2,088
სულ	32,408	31,005

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები	3,516	3,594
საკრედიტო ზარალის რეზერვის დანარიცხი (მე-15 შენიშვნა)	587	656
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	415	362
პროფესიული მომსახურებები (ა)	226	215
ცვეთა და ამორტიზაცია	109	111
მგზავრობის ხარჯები	107	137
ადმინისტრაციული შენობების ტექნომსახურება	105	117
სხვა ხარჯები	586	502
	5,651	5,694

- (ა) 2024 წელს აუდიტორის მთლიანი ანაზღაურება შედგებოდა აუდიტორული მომსახურების საფასურისგან 93 აშშ დოლარის (2023 წ.: 93 აშშ დოლარი) ოდენობით და სხვა მარწმუნებელი მომსახურებების საფასურისგან 36 აშშ დოლარის (2023 წ.: 34 აშშ დოლარი) ოდენობით, რომლებიც პროფესიულ მომსახურებაში იყო შესული.

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე (მე-16 შენიშვნა)	781	895
საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარაზე	56	52
	837	947
ფინანსური დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე (21.2-ე შენიშვნა)	1,356	1,367
	1,356	1,367

11. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
შემოსულობა ფინანსური ვალდებულებების შეწყვეტიდან	303	–
სხვა შემოსავალი	283	692
	586	692
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები (ა)	390	–
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	95	10
საქველმოქმედო ხარჯები	43	232
სხვა ხარჯები	236	314
	764	556

- (ა) 2024 წელს კომპანიამ ჩაატარა ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის მიერ იჯარით აღებული ბათუმის საზღვაო ნავსადგურის №2 და №4-5 ნავმისადგომების სანაპირო კედლების სარემონტო სამუშაოები.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ტრანსპორ- ტი	მანქანა- დანადგა- რები და ალჭურვილ ობა	სხვა გრძელვა- დიანი აქტივები	დაუმთავ- რებელი მშენებლო- ბა	სულ
მთლიანი ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბრის	53,377	23,752	9,935	12,614	242	2,612	102,532
შესყიდვები	–	–	–	–	–	12,111	12,111
გადატანები	–	1,184	512	1,483	252	(3,431)	–
გასვლა	–	–	(1)	(7)	–	–	(8)
საკუროსო სხვაობა	–	71	25	70	2	(42)	126
2023 წლის 31 დეკემბრის	53,377	25,007	10,471	14,160	496	11,250	114,761
შესყიდვები	–	–	–	–	–	7,610	7,610
გადატანები	–	2,452	6,711	3,286	315	(12,764)	–
გასვლა	–	(25)	(13)	(101)	(6)	–	(145)
საკუროსო სხვაობა	–	(847)	(261)	(532)	(2)	(17)	(1,659)
2024 წლის 31 დეკემბრის	53,377	26,587	16,908	16,813	803	6,079	120,567
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 31 დეკემბრის	–	272	216	572	31	–	1,091
ცვეთის დარიცხვა	–	1,288	1,343	1,876	75	–	4,582
გასვლა	–	–	–	(4)	–	–	(4)
საკუროსო სხვაობა	–	(15)	(12)	(23)	–	–	(50)
2023 წლის 31 დეკემბრის	–	1,545	1,547	2,421	106	–	5,619
ცვეთის დარიცხვა	–	1,344	1,362	1,779	127	–	4,612
გასვლა	–	(8)	(12)	(29)	(1)	–	(50)
საკუროსო სხვაობა	–	(58)	(44)	(112)	(1)	–	(215)
2024 წლის 31 დეკემბრის	–	2,823	2,853	4,059	231	–	9,966
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	53,377	23,462	8,924	11,739	390	11,250	109,142
2024 წლის 31 დეკემბერი	53,377	23,764	14,055	12,754	572	6,079	110,601

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები სააღრიცხვო ღირებულებით 4,997 აშშ დოლარი წარმოადგენს უზრუნველყოფას კონტრაქტთან მოსალოდნელი სასამართლო დავის შედეგად (2023 წ.: 5,048 აშშ დოლარი) (22.5 შენიშვნა).

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველ- ყოფა	ლიცენზია	უზუფრუქტის უფლება მიწაზე	მიწით სარგებლობის უფლება	სულ
თვითღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერს	381	399	565	3,418	4,763
შესყიდვები	78	9	–	–	87
საკურსო სხვაობა	2	3	6	16	27
2023 წლის 31 დეკემბერს	461	411	571	3,434	4,877
შესყიდვები	2	102	–	–	104
გასვლა	(3)	(20)	–	–	(23)
საკურსო სხვაობა	(5)	(14)	(24)	(144)	(187)
2024 წლის 31 დეკემბერს	455	479	547	3,290	4,771
ამორტიზაცია და გაუფასურება					
2022 წლის 31 დეკემბერს	288	280	53	904	1,525
ამორტიზაციის დანარიცხი	31	35	19	77	162
საკურსო სხვაობა	–	1	–	4	5
2023 წლის 31 დეკემბერს	319	316	72	985	1,692
ამორტიზაციის დანარიცხი	32	43	14	76	165
გასვლა	(3)	(20)	–	–	(23)
საკურსო სხვაობა	(1)	(12)	(3)	(42)	(58)
2024 წლის 31 დეკემბერს	347	327	83	1,019	1,776
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერს	142	95	499	2,449	3,185
2024 წლის 31 დეკემბერს	108	152	464	2,271	2,995

მიწით სარგებლობის უფლება ეხება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც ჯგუფს 49 წლის ვადით გადაეცა 2006 წლის 22 ივლისით დათარიღებული ხელშეკრულებით მართვის უფლების შესახებ. სხვა არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება და 39 წლით იზღუდება. შეზღუდული ეკონომიკური მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

14. მარაგები

	2024	2023
სათადარიგო ნაწილები	1,313	1,534
ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები	1,127	1,141
სხვა	2	17
	2,442	2,692

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები	9,179	9,284
სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარეებისგან (21.1 შენიშვნა)	1,234	736
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, მთლიანი	10,413	10,020
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(7,915)	(7,404)
	2,498	2,616

მესამე მხარეების მიმართ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეჯერება:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	(7,404)	(8,734)
წლის დანარიცხი (მე-15 შენიშვნა)	(587)	(656)
ჩამოწერა	–	2,009
საკურსო სხვაობა	76	(23)
31 დეკემბრის მდგომარეობით	(7,915)	(7,404)

ჯგუფი გაუფასურების ანალიზს ატარებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებელი ანარიცხების მატრიცის გამოყენებით. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტის დაჯგუფების საფუძველზე. არადაკავშირებული მესამე მხარეებისგან სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში ჯგუფი რისკის კონცენტრაციას აფასებს, როგორც დაბალს, რადგან ჯგუფი უმეტესად მუშაობს დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებისთვისაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ინდივიდუალურად ფასდება, ხოლო დანარჩენი მომხმარებლებისთვის იქმნება შესაბამისი რეზერვი ქვემოთ მოცემული მატრიცის საფუძველზე. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მეტწილად მიკუთვნებადია არადაკავშირებულ მესამე მხარეებზე და დაკავშირებული მხარეების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით არსებითი რეზერვი არ გამოვლენილა.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკის ზომის შესახებ, ანარიცხების მატრიცის გამოყენებით:

2024 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	მოკლე-ვადიანი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.5%	2.5%	7.9%	41.7%	98.6%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,875	397	127	24	7,990	10,413
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(10)	(10)	(10)	(10)	(7,875)	(7,915)

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	მოკლე- ვადიანი	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.7%	2.4%	3.4%	6.1%	96.3%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,401	458	232	293	7,636	10,020
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(10)	(11)	(8)	(18)	(7,357)	(7,404)

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ბანკში არსებული ნაღდი ფულით. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 781 აშშ დოლარს (2023 წ.: 895 აშშ დოლარი) შეადგენდა (მე-10 შენიშვნა).

17. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 911 აშშ დოლარით განისაზღვრა და მას ერთპიროვნულად ფლობს ყაზახეთის რესპუბლიკის რეზიდენტი კომპანია შპს „ყაზტრანსოილი“.

დივიდენდები

2024 და 2023 წლებში ჯგუფს დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია თავისი პარტნიორისთვის.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი გამოიყენება ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდის, და ასევე შემცირების აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება ღირებულების ზრდას იმავე აქტივზე, რომელიც მანამდე საკუთარ კაპიტალში იყო აღიარებული. რეზერვის გამოყენება დივიდენდების გადასახდელად არ შეიძლება.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

საკუროსო სხვაობის რეზერვი

საკუროსო სხვაობის რეზერვი გამოიყენება ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებული საკუროსო სხვაობების დასაგროვებლად, როდესაც წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან.

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალთან დაკავშირებით გარედან დაკისრებული შეზღუდვები. ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

18. სესხები და ნასესხები სახსრები

ჯგუფის მთლიანი სესხები და ნასესხები სახსრები მიკუთვნებადია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო „პეტროტრანს ლიმიტედისგან“ ნასესხებ სახსრებზე.

	გამოშვების		31-დეკ-2024	31-დეკ-2023
	თარიღი	დაფარვის ვადა		
„პეტროტრანს ლიმიტედი“	თებ-2011	დეკ-2039	17,808	17,452
„პეტროტრანს ლიმიტედი“	ნოე-2013	მოთხოვნამდე	13,608	13,608
			31,416	31,060
გრძელვადიანი			16,882	16,526
მოკლევადიანი			14,534	14,534

ნასესხები სახსრების მოთხოვნამდე წილს წარმოადგენს გადაუხდელი დარიცხული პროცენტი, რომელიც კლასიფიცირებულია მოთხოვნამდე კატეგორიით და სრულად წარდგენილია მიმდინარე სესხში. ნასესხები სახსრებს რაიმე დაკავშირებული ვალდებულებები არ მოსდევს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
ვალდებულება დაკავშირებული მხარის მიმართ (21.1 შენიშვნა)	41,014	40,989
სავაჭრო ვალდებულებები	2,009	1,521
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ	1,198	2,009
ვალდებულება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ	1,068	3,136
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება	937	1,399
	46,226	49,054

20. ანარიცხები

	საგადასახადო ანარიცხი (22.6 შენიშვნა)	გამოუყენებელი შვებულება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	2,840	185	3,025
წლის დანარიცხი	143	120	263
გამოყენებული	(79)	–	(79)
გაუქმება წლის განმავლობაში	(38)	(109)	(147)
საკუროსო სხვაობა	4	–	4
2023 წლის 31 დეკემბერი	2,870	196	3,066
წლის დანარიცხი	129	116	245
გაუქმება წლის განმავლობაში	(51)	(102)	(153)
საკუროსო სხვაობა	(93)	(4)	(97)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,855	206	3,061

2024 და 2023 წლებში გამოუყენებელ შვებულებასთან და საპენსიო ფონდთან დაკავშირებული დანარიცხები და გაუქმებები აღიარდა გაყიდული საქონლის თვითღირებულების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების სახით, შესაბამისი თანამშრომლების სამსახურეობრივი ფუნქციებიდან გამომდინარე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

21.1 საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც გაფორმდა დაკავშირებულ მხარეებთან, შესაბამისი ფინანსური წლის განმავლობაში.

		გაყიდვები	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
2024					
„პეტროტრანს ლიმიტედი“ (ა)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო *	12,593	19	1,014	41,009
„რომპეტროლ საქართველო“ (ბ)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო *	2,238	337	220	5
		14,831	356	1,234	41,014
2023					
„პეტროტრანს ლიმიტედი“ (ა)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო *	12,287	–	513	40,989
„რომპეტროლ საქართველო“ (ბ)	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო *	2,194	294	223	–
		14,481	294	736	40,989

* - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

(ა) „პეტროტრანს ლიმიტედი“ ახორციელებს ტვირთის გადაზიდვას და საექსპედიტორო მომსახურებას საქართველოს მასშტაბით და მარშრუტის ბოლო ეტაპზე სარგებლობს ჯგუფის მომსახურებებით. 2024 წელს „პეტროტრანს ლიმიტედის“ მიმართ არსებული დავალიანება მოიცავდა 41,009 აშშ დოლარს (2023 წ.: 40,989 აშშ დოლარი), რომელიც გადასახდელი იყო „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ექსკლუზიური მართვის უფლების შესყიდვისთვის.

(ბ) „რომპეტროლ საქართველო“ მართავს ბენზინგასამართ სადგურებს საქართველოში და ასევე ჯგუფზე ყიდის ამ პროდუქტებს. ჯგუფი გადატვირთვის მომსახურებებს უწევს „რომპეტროლ საქართველოს“, რაც უმეტესად უკავშირდება საქართველოში ღია ნავთობპროდუქტების იმპორტს, ასევე მათგან საწვავის შესყიდვებს.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21.2 საფინანსო ოპერაციები

საფინანსო ოპერაციები	საპროცენტო ხარჯი	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	
2024			
„პეტროტრანს ლიმიტედი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	1,356	31,416
2023			
„პეტროტრანს ლიმიტედი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	1,367	31,060

21.3 გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

2024 წელს ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 13 ფიზიკური პირისგან შედგებოდა (2023 წ.: 10 ფიზიკური პირი). მთლიანი ანაზღაურება შედგებოდა ხელფასების, პრემიების და დაბინავების ხარჯების ანაზღაურებისგან 1,749 აშშ დოლარის (2023 წ.: 1,830 აშშ დოლარი) ოდენობით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან სხვა გარიგებები არ განხორციელებულა.

22. პირობითი ვალდებულებები

22.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მემკვიდრე

ჯგუფს, როგორც მემკვიდრეს, ორი მნიშვნელოვანი იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. შეუქცევად საოპერაციო იჯარაზე მისაღები მინიმალური სამომავლო იჯარა შეადგენს შემდეგს:

	„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	მიწის იჯარა	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი			
ერთი წლის განმავლობაში	741	349	1,090
ერთიდან ორ წლამდე	741	349	1,090
ორიდან სამ წლამდე	741	349	1,090
სამიდან ოთხ წლამდე	741	349	1,090
ოთხიდან ხუთ წლამდე	741	349	1,090
ხუთ წელზე მეტი	19,136	679	19,815
	22,841	2,424	25,265
2023 წლის 31 დეკემბერი			
ერთი წლის განმავლობაში	741	348	1,089
ერთიდან ორ წლამდე	741	348	1,089
ორიდან სამ წლამდე	741	348	1,089
სამიდან ოთხ წლამდე	741	348	1,089
ოთხიდან ხუთ წლამდე	741	348	1,089
ხუთ წელზე მეტი	19,877	1,028	20,905
	23,582	2,768	26,350

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მეიჯარე (გაგრძელება)

2007 წლის აპრილში ჯგუფმა თანხმობა განაცხადა შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისთვის“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომები, სანავსადგომო კომპლექსი ბორნების მომსახურებისთვის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარს მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე 48 წლის ვადით, 2055 წლის 30 ნოემბრამდე. ჯგუფმა საიჯარო გადახდები გადაანაწილა ფინანსური და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, თითოეული ელემენტის იჯარის უფლებით ფლობის სამართლიანი ღირებულების პროპორციულად. საოპერაციო იჯარის ყოველწლიური გადახდების წილი 541 აშშ დოლარს შეადგენს 2020 წლის ნოემბრამდე და 741 აშშ დოლარს დარჩენილი პერიოდებისთვის, ამ იჯარის დაფარვის ვადამდე - 2055 წლის ნოემბერი. 2019 წლის აპრილში ჯგუფმა იჯარით გასცა მე-7 ნავმისადგომი. მოიჯარემ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე დაიწყო ახალი ტერმინალის მშენებლობა კარბიდის გადასატვირთად. საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია 10 წლის ვადით და ის შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებითი 10 წლით. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ, ტერმინალი დაინგრევა და მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება იჯარის დასაწყისში არსებულ მდგომარეობას.

2014 წლის 17 იანვარს და 2014 წლის 16 მაისს ჯგუფმა გააფორმა მიწის საიჯარო ხელშეკრულებები „ვიბრო დიაგნოსტიკასთან“. საიჯარო ხელშეკრულებებს ვადა 30 წელიწადში ეწურება.

2024 და 2023 წლების საიჯარო შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	„ვიბრო დიაგნოსტიკის“ იჯარა	სხვა	სულ
2024				
საიჯარო შემოსავალი	1014	48	454	1,516
2023				
საიჯარო შემოსავალი	990	48	411	1,449

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.2 ფინანსური იჯარის ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფმა, როგორც მეიჯარემ გააფორმა ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური იჯარის შეთანხმება ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან ნავმისადგომების 4, 5 და 6 დასაქირავებლად. სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები ფინანსური იჯარის ფარგლებში, წმინდა მინიმალური საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებასთან ერთად ასეთია:

„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	2024	2023
ერთი წლის განმავლობაში	38	38
ერთი წლის შემდეგ, არაუმეტეს ხუთი წლისა	153	153
ხუთ წელზე მეტი	994	1,026
სულ მინიმალური საიჯარო გადახდები	1,185	1,217
გამოკლებული ფინანსური დანარიცხები	(931)	(963)
მინიმალური საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება	254	254

2024 წლის ფინანსურ იჯარაზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი მოიცავს 56 აშშ დოლარს (2023 წ.: 52 აშშ დოლარი).

ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის იჯარის ფარგლებში იჯარით გადაცემული მიწა მოიცავს შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ გარკვეულ ინფრასტრუქტურას (შემდგომში „ობიექტი“). საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფი ვალდებული იყო „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ მოთხოვნის შემთხვევაში მოეხდინა ამ ობიექტის დემონტაჟი, თუ ის ხელს შეუშლიდა „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ ოპერაციებს. იმის გათვალისწინებით, რომ დემონტაჟისთვის საჭირო დროისა და ხარჯების შეფასება შეუძლებელი იყო, ჯგუფმა არ გაითვალისწინა ეს ხარჯები საიჯარო ხელშეკრულების საწყისი აღიარებისას და ასეთი ხარჯები გაწეულად ჩათვალა.

2011 წელს ჯგუფმა „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისგან“ მიიღო ობიექტის დემონტაჟის მოთხოვნა. ჯგუფმა მშობელი საწარმოსგან შეისყიდა მიწის ნაკვეთი და დაასრულა „საქართველოს რკინიგზისთვის“ ახალი ობიექტის მშენებლობა. 2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფს აღნიშნულ სამუშაოებზე დახარჯული აქვს 1,076 აშშ დოლარი და მთლიანი თანხა გატარებული აქვს ხარჯებში.

მშენებლობა გადაეცემა „საქართველოს რკინიგზას“ 2025 წელს, რის შემდეგაც ჯგუფი დაიწყებს ობიექტის დემონტაჟს. როდესაც ახალი ობიექტი გადაეცემა შპს „საქართველოს რკინიგზას“, ის დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

22.3 საინვესტიციო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები (2023 წ.: 522 აშშ დოლარი) ღია სამშენებლო ხელშეკრულებების სახით.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.4 საოპერაციო ვალდებულებები

მართვის ხელშეკრულების პირობების თანახმად, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა“ უნდა უზრუნველყოს შეთანხმებული წლიური გადატვირთვები ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გავლით. იმ შემთხვევაში, თუ „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ ვერ შეძლებს შეთანხმებული მოცულობის გადატვირთვების განხორციელებას, მესაკუთრეს (სახელმწიფოს) უფლება აქვს მოითხოვოს შემდეგი ჯარიმების გადახდა, მართვის ხელშეკრულების შესაბამის მოცულობებში ნაკლებობისთვის:

2024 და 2023 წლებში „ბათუმის საზღვაო ნავსადგურით“ განხორციელებულმა ფაქტობრივმა გადატვირთვებმა 6 მილიონ ტონას გადააჭარბა და ჯარიმებზე დამატებითი ანარიცხები არ აღიარებულა.

22.5 სხვა პირობითი ვალდებულებები

2024 წლისა და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს რამდენიმე ცნობილი სასამართლო დავა ჰქონდა, რომლისთვისაც განისაზღვრა ან განხორციელდა ქვემოთ მოცემული ანარიცხები:

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	გათვალისწინებული	გაუთვალისწინებელი ცნობილი	გათვალისწინებული	გაუთვალისწინებელი ცნობილი
	სასამართლო დავები და სარჩელები	სასამართლო დავები და სარჩელები	სასამართლო დავები და სარჩელები	სასამართლო დავები და სარჩელები
მომხმარებელთა სარჩელები	–	16,143	–	16,143
ბიზნეს-კონტრაქტის სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ	–	12,492	–	12,492
თანაინვესტირების პროექტი მომხმარებელთან (აღიარებულია გადავადებული ამონაგების სახით)	905	–	905	–
სულ	905	28,635	905	28,635

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.5 სხვა პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მომხმარებელთა სარჩელები

2016 წლის 19 დეკემბერს ჯგუფმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტისგან მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) მიერ 2016 წლის 9 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სასამართლომ სააღსრულებო ფურცლები გასცა ჯგუფის შეტყობინების გარეშე, რომ დაეკმაყოფილებინა ჯგუფის ორი მომხმარებლის (შემდგომში „მოსარჩელე“ ან „მოსარჩელები“) მიერ წაყენებული მოთხოვნები.

პირველი სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვა, რომ ემოქმედა კონკურენციის შესახებ კანონის შესაბამისად, არ დაეწესებინა გადატვირთვის დისკრიმინაციული და უსამართლო ტარიფები, ძალაში დაეტოვებინა გადატვირთვის არსებული ტარიფები, არ შეეწყვიტა გადატვირთვის არსებული ხელშეკრულება და სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე არ შეეწყვიტა ერთ-ერთი მოსარჩლის მომსახურება. მეორე სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვებოდა, რომ არ დაეწესებინა დისკრიმინაციული ტარიფები შენახვისა და გადატვირთვის მომსახურების გაწევაზე მეორე მოსარჩლისთვის და შეეთავაზებინა იგივე ტარიფები, რომლებსაც უწესებდა სხვა მომხმარებელს. გარდა ამისა, ამავე სააღსრულებო ფურცლით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,997 აშშ დოლარის ოდენობით (2023 წ.: 5,048 აშშ დოლარი) სამართლიანი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფას. ის კრძალავს ამ ქონების გასხვისებას, მაგრამ არ მოქმედებს ჯგუფის საოპერაციო და ეკონომიკურ საქმიანობაზე.

2021 წლის 11 ნოემბერს სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი 16,143 აშშ დოლარის ოდენობით და უარი თქვა ჯგუფის შემხვედრი სარჩელის დაკმაყოფილებაზე 68 აშშ დოლარის ოდენობით, 2018 წლის 19 მარტის შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად. 2021 წლის 24 დეკემბერს ჯგუფმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლო ახლა განიხილავს.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.5 სხვა პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობა, შესაძლებლობის ფარგლებში, კვლავ აფასებს რესურსების გადინების რისკს. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს სარჩელები უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელებისთვის შეთავაზებული გადატვირთვისა და შენახვის ტარიფები კონკურენტული და სხვა მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ტარიფების იდენტურია.

ბიზნეს-კონტრაქტის სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ

2021 წლის 5 თებერვალს ჯგუფმა ბათუმის საქალაქო სასამართლოდან მიიღო წერილი ერთ-ერთი მოსარჩელის ახალ სარჩელთან ერთად, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა 12,492 აშშ დოლარის ოდენობით მიუღებელი ამონაგების ანაზღაურებას, მომსახურებების გაწევას ღია და მუქი ნავთობის გადატვირთვის კონკრეტული ტარიფებით, ტარიფების ცალმხრივად შეცვლის ან ცალმხრივად გაზრდილი ტარიფით ანაზღაურების მიღების გარეშე.

შენობა, 25 რეზერვუარი და რამდენიმე ესტაკადა დაგირავდა სარჩელის უზრუნველყოფის სახით. მოსარჩელემ მოითხოვა რეზერვუარების გადაკეთების ნებართვა ღია ნავთობის გადატვირთვისთვის და ჯგუფის ერთ-ერთი რეზერვუარის გამოყოფისა და გადაკეთებისთვის განკუთვნილი რეზერვუარებიდან გადატვირთული ნავთობის შესანახად. სარჩელის თანახმად, გადაკეთების ყველა სამუშაო დაფინანსდება მოსარჩელის მიერ.

2021 წლის 16 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი. 2021 წლის 19 ოქტომბერს ჯგუფმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება ბათუმის სასამართლოში. 2024 წელს ამ საქმეში მნიშვნელოვან წინსვლას ადგილი არ ჰქონია. ჯგუფი აპირებს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში და აპელაციის დაკმაყოფილების ალბათობას აფასებს, როგორც მაღალს, რადგან, მხარეებს შორის გაფორმებული სერვიტუტის ხელშეკრულებების თანახმად, ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ. შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში აფასებს რესურსების გადინების რისკს.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

22.5 სხვა პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თანადაფინანსების პროექტი მომხმარებელთან

ჯგუფი მომხმარებელთან ერთად დააფინანსა კაპიტალური პროექტი, რომელიც უკავშირდება თავის არსებულ სატერმინალო აქტივებს. მისი მონაწილეობა დაფინანსებაში 2.700 აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის მთლიანი ღირებულება 5.400 აშშ დოლარად არის შეფასებული. ამ აქტივების მესაკუთრე იქნება ჯგუფი, ხოლო მომხმარებელს ექნება მათი გამოყენების უპირატესი უფლება 2045 წლის 1 ივლისამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.800 აშშ დოლარის ღირებულების კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა. ჯგუფმა დაუმთავრებელი მშენებლობის სრულად კაპიტალიზაცია მოახდინა და აღრიცხა გადავადებული ამონაგები 905 აშშ დოლარის ოდენობით, რადგან აღებული აქვს ვალდებულება, რომ მომხმარებელს გადატვირთვის მომსახურება გაუწიოს შედარებით დაბალი ტარიფებით.

წყალქვეშა მილების მიწოდება და დამონტაჟება, რაშიც 1.800 აშშ დოლარის ოდენობით ავანსია გადახდილი, უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის 31 ოქტომბრამდე. ვადების არაერთხელ გადაწევის გამო, ხელმძღვანელობამ საეჭვოდ შეაფასა კლიენტის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა და შექმნა გადახდილი ავანსების სრული რეზერვი. 2024 წელს ადგილი არ ჰქონია თანაინვესტირების პროექტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოვლენას ან ვითარებებს.

22.6 საგადასახადო და საბაჟო პირობითი ვალდებულებები

შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული საბაჟო და საგადასახადო ინსპექტირება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა საგადასახადო ანარიცხი 2,855 აშშ დოლარის (2023 წ.: 2,870 აშშ დოლარი) ოდენობით დღგ-ზე, აქციზის გადასახადსა და დაკავშირებულ ჯარიმებზე ნავთობპროდუქტების გამოვლენილი დეფიციტის საფუძველზე, ამგვარი ნავთობპროდუქტების საბაჟო ფასებზე დაყრდნობით (მე-20 შენიშვნა).

შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული საგადასახადო ინსპექტირება

2015 წლის 4 დეკემბერს ჯგუფმა მიიღო საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საგადასახადო ინსპექტირების აქტი 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის დამატებული ღირებულების გადასახადისთვის, მოგების გადასახადისთვის, უკუდაბეგვრის დამატებული ღირებულების გადასახადისთვის და იმპორტის მოსაკრებლისთვის, და 2010-2013 წლებისთვის საშემოსავლო გადასახადისთვის და მოგების გადასახადისთვის. საგადასახადო ინსპექტირების შედეგად მთლიანმა დანარიცხმა 4,780 ლარი შეადგინა, საიდანაც ჯგუფმა გადაიხადა 957 ლარი, და აღიარა 3,106 ლარის ოდენობით ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლის დეკემბერში ჯგუფმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სარჩელი წარადგინა. 2024 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობამ შეცვალა ანარიცხის თანხა და განახორციელა დამატებითი დარიცხვა 129 აშშ დოლარის ოდენობით (2023 წ.: 143 აშშ დოლარი) (მე-20 შენიშვნა). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი კვლავ მოელის პასუხს, მიიღებს თუ არა სარჩელს უზენაესი სასამართლო.

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები სესხებისგან და ნასესხები სახსრებისგან, ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან შედგებოდა. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფი თავისი ოპერაციებიდან პირდაპირ იღებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკები.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც ის არ ფლობს ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. ჯგუფს არ აქვს მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.

ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა რაიმე საქმიანობას წარმოებული ინსტრუმენტებით რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

ჯგუფის თითოეული შესაბამისი რისკის მართვის პოლიტიკა შეჯამებულია ქვემოთ:

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფი საკრედიტო რისკს გასწევს საოპერაციო და ფინანსური საქმიანობების ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნების ნაშთი მოიცავს უფრო მცირე ნაშთებს დაკავშირებულ და მესამე მხარეებთან, რომლებიც დაიფარება წარმომობიდან მაქსიმუმ 30 დღის შემდეგ. მაქსიმალური საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღში არის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 2,498 აშშ დოლარის (2023 წ.: 2,616 აშშ დოლარი) ოდენობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის და ანაბრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება 11,736 აშშ დოლარის (2023 წ.: 11,294 აშშ დოლარი) ოდენობით.

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**(ii) სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში		დაბეგვრამდე ზარალის ეფექტი
2024	8.1%		(186)
	-2.0%		44
2023	18.8%		(467)
	-18.8%		467

(iii) ლიკვიდობის რისკი

ჯგუფი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით მოთხოვნამდე და ერთ წლამდე პერიოდისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

2024 წლის 31 დეკემბერი	მოთხოვ- ნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-18 შენიშვნა)	13,608	–	1,000	4,000	26,692	45,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-19 შენიშვნა)	41,009	4,149	1,202	–	–	46,360
	54,617	4,149	2,202	4,000	26,692	91,660
2023 წლის 31 დეკემბერი	მოთხოვ- ნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-18 შენიშვნა)	13,608	–	1,000	4,000	27,692	46,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-19 შენიშვნა)	40,989	8,065	–	–	–	49,054
	54,597	8,065	1,000	4,000	27,692	95,354

23. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)*(iii) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)*

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2024 წლის 31 დეკემბრიდან. ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შეფასება უფრო დაწვრილებით განხილულია მე-6 შენიშვნაში.

(iv) კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები და მოხდეს ბაზრის მონაწილეების ნდობის შენარჩუნება.

(v) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ბალანსის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონით, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელ დონეს განეკუთვნება.

24. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2024 წლის 1 იანვარი	გადახდები	ფინანსური დანახარჯები	სხვა	2024 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-18 შენიშვნა)	31,060	(1,000)	1,356	–	31,416
სულ ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან	31,060	(1,000)	1,356	–	31,416
	2023 წლის 1 იანვარი	გადახდები	ფინანსური დანახარჯები	სხვა	2023 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-18 შენიშვნა)	30,698	(1,021)	1,367	16	31,060
სულ ვალდებულებები საფინანსო საქმიანობებიდან	30,698	(1,021)	1,367	16	31,060

2024 წლის შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ჯგუფი) კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „კატრანსოილი“ წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ტერმინალი) 100% წილის პირდაპირ მესაკუთრეს, რომელსაც გააჩნია მართვის ექსკლუზიური უფლება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურში“ (შემდგომში - ნავსადგური) მონაწილეობის 100 % წილის მიმართ.

ტერმინალი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, წმინდა სევერიან აჭარელის ქუჩა #4 გ. საიდენტიფიკაციო კოდი #245432544.

ტერმინალი აწარმოებს ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის (აირის), ასევე მათი გადამუშავების პროდუქტების გადატვირთვის, ტრანსპორტირების, ექსპედირების, შეძენისა და რეალიზაციის მომსახურებას. ტერმინალის სიმძლავრეები იძლევა საშუალებას გადაიტვირთოს 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტები 132 რეზერვუარის მეშვეობით, რომელთა საერთო სასარგებლო ტონაჟობა შეადგენს 400 ათას ტონაზე მეტს. წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 11 მლნ ტონამდე.

ტერმინალში მუშაობს 6 ჩამოსასხმელი სარკინიგზო ესტაკადა, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ერთდროულად 180-მდე ვაგონ-ცისტერნის ჩასხმა. ყველა ესტაკადა დაკავშირებულია მილსადენების სისტემებით სხვადასხვა სარეზერვუარო პარკთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტერმინალის საექსპლუატაციო მოქნილობას. ერთ-ერთ ესტაკადაზე დანერგილია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მძიმე და ბლანტი სახეობისთვის მრავალდონიანი გათბობის სისტემა. ტერმინალის ყველა სარკინიგზო ესტაკადა აღჭურვილია ჩამოსხმის მონაცემთა ელექტრონული აღრიცხვის საშუალებით.

ნავთობის ტანკერებში ჩასხმა ხორციელდება სამი პორტისაგან იჯარით აღებული მისადგომისა და გადასატანი სანავმისადგომო მოწყობილობით (უნაპირო ნავმისადგომი). უნაპირო ნავმისადგომი წარმოადგენს ტერმინალის უმსხვილეს ჩასატვირთ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია ტანკერების მიღება სრული ტვირთშიდაობით (დედვეიტით) 100 000 ტონამდე.

ნავსადგური

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა #15.

ნავსადგურის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ტვირთების ნომენკლატურის დიდი სპექტრის გადატვირთვა. ტვირთბრუნვის სტრუქტურაში ჭარბობს ნავთობის დატვირთვისა და მშრალი ტვირთების გადატვირთვა.

საწარმოო საქმიანობის განხორციელებისთვის ნავსადგურს გააჩნია შესაბამისი ტერიტორია და აკვატორია სათანადო სპეციალური მოწყობილობებითა და დანადგარებით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ნაპირ დამცავი ნაგებობები, 3 ნავმისადგომი, 11 პორტალური ამწე და სხვა გადამტვირთავი მექანიზმები, დამხმარე გემები, და საზღვაო სამგზავრო ტერმინალი, იჯარის ხელშეკრულებით გადაცემულ საბორნე ხიდს, 2 საკონტეინერო, 3 ნავთობჩამოსასხმელ და 1 უმისადგომო ნავთობჩამოსასხმელ ნავმისადგომებსა და მომდებარე 13,6 ჰა ტერიტორიაზე

ოპერირებს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ და შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“.

2020 წლის აპრილში კომპანიამ იჯარით გასცა მე-7 ნავმისადგომზე სასაწყობო ტერიტორია, სადაც აშენდა და 2021 წლის ივნისში ექსპლოატაციაში გაიშვა კარბამიდის ტერმინალი. ხელშეკრულება ძალაშია 10 წლის ვადით და ის შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებითი 10 წლით. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ, ტერმინალი დაინგრევა და მიწის ნაკვეთი დაბრუნდება იჯარის დასაწყისში არსებულ მდგომარეობას.

2. 2024 წლის ჯგუფის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

ცხრილი 1. 2023-2024 წწ. ჯგუფის ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

№	დასახელება	განზ.ერთ.	ჯგუფი			
			2023 წ. ფაქტი	2024 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები სულ	ათასი აშშ დოლარი	45 059	44 819	(240)	99%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	43 420	43 396	(24)	100%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	947	837	(110)	88%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	692	586	(106)	85%
2	ხარჯები სულ	ათასი აშშ დოლარი	42 079	39 892	(2 187)	95%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	31 005	32 408	1 403	105%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	5 694	5 651	(43)	99%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	1 367	1 356	(11)	99%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	4 013	477	(3 536)	12%
3	მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	2 980	4 927	1 947	165%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	0	0	-	
5	მოგების საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	2 980	4 927	1 947	165%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	1 207	1 197	(10)	99%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	36	36	0	100%

2. 2024 წლის ჯგუფის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილი 1_1. 2023-2024 წწ. ტერმინალის ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

№	დასახელება	განზ.ერთ.	ტერმინალი			
			2023 წ. ფაქტი	2024 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები, სულ	ათასი აშშ დოლარი	29 824	26 689	(3 135)	89%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	25 494	23 799	(1 695)	93%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	4 247	2 555	(1 692)	60%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	83	335	252	404%
2	ხარჯები სულ	ათასი აშშ დოლარი	25 053	22 844	(2 209)	91%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	16 829	18 237	1 408	108%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	3 065	3 089	24	101%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	1 488	1 448	(40)	3%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	3 671	70	(3 601)	2%
3	მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	4 771	3 845	(926)	81%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	0	0	-	-
5	მოგების საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	4 771	3 845	(926)	81%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	561	568	7	101%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	45	42	(4)	93%

- ჯგუფმა 2024 წელი დახურა ჯამური წმინდა მოგებით 4 927 ათასი აშშ დოლარი რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 1 947 ათასი აშშ დოლარით მეტია.
- ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლები 24 ათასი აშშ დოლარით შემცირდა.
- დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები შემცირდა 110 ათასი აშშ დოლარით.
- არასაოპერაციო შემოსავლები შემცირებულია 106 ათასი აშშ დოლარით.
- თვითღირებულების ნაწილში ხარჯები გაიზარდა 1 403 ათასი აშშ დოლარით.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში 2023 წელთან შედარებით დანახარჯები შემცირდა 43 ათასი აშშ დოლარით.
- ფინანსირების ხარჯების ნაწილში 2023 წელთან შედარებით დანახარჯები შემცირდა 11 ათასი აშშ დოლარით.
- არასაოპერაციო ხარჯები შემცირდა 3 536 ათასი აშშ დოლარით.

2024, 2023 და 2022 წლებში „ბათუმის საზღვაო ნავსადგურით“ განხორციელებულმა ფაქტიურმა გადატვირთვებმა მინიმალურ მოთხოვნებს (6 მილიონი ტონა) გადააჭარბა და ჯარიმებზე დამატებითი ანარიცხები არ აღიარებულა.

3. 2024 წლის საქმიანობის სოციალური მიმართულებები

ჯგუფში ფართოდ არის განვითარებული სოციალური მიმართულებები, როგორც თანამშრომლების მიმართ, ასევე სპონსორული და საქველმოქმედო დახმარებების გაწევის მიმართულებით.

თანამშრომლებზე ორიენტირებულ სოციალური სფეროს ნაწილში თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან უფასო კვებით და სამედიცინო დაზღვევით, ნავსადგურის დასაქმებულების სოციალური მხარდაჭერისთვის მათ ეძლევათ მკურნალობასთან (რომელიც არ იფარება დაზღვევით) დაკავშირებული მატერიალური დახმარება, ასევე გაიცემა ქორწინებასთან, შვილის შეძენასთან, ახლო ნათესავის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დახმარებები,

რაც შეეხება სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარებებს, ჯგუფი ყოველწლიურად უწევს დახმარებას:

- სამამულო ომის ვეტერანებს, ასევე უეცრად გარდაცვლილი ვეტერანების ქვრივებს.

4. განვითარების გეგმები

ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას საწარმოო აქტივობის დონის განვითარებაზე და დამატებითი მშრალი ტვირთების და ნავთობპროდუქტების ნაკადების მოზიდვაზე, რათა გაზარდოს წარმოების და ფინანსური მაჩვენებლები.

ამასთანავე, საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ინფრასტრუქტურისა და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად იგეგმება საწარმოო აქტივების ეტაპობრივი გაახლება-მოდერნიზაცია და:

- დადრმაგებითი სამუშაოები დიდი ტევადობის გემების მომსახურების სტრატეგიული პერსპექტივების შესანარჩუნებლად;
- საოპერაციო და სასაწყობო ფართის გაფართოება;
- ევროპული გარემოსდაცვითი მართვის სტანდარტის EcoPorts დანერგვა.

5. 2024 წლის ჯგუფის რისკები

ფინანსური რისკების ანალიზი

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, პროცენტთან სესხებზე დარიცხულ პროცენტს, სესხებს კრედიტორულ დავალიანებას. ჯგუფს აქვს სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, ასევე ვალდებულებები საოპერაციო და ფინანსური იჯარის საფუძველზე და ნაღდი ფული ბანკში. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკებს.

საკრედიტო რისკი

ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებების ვერ შესრულება და დებიტორული დავალიანების ვერ ამოღება.

სავაჭრო და დებიტორული დავალიანების ნაშთები მოიცავს მესამე მხარეების ნაშთებს, რომელთა ძირითადი ნაწილიც იფარება მათი წარმოშობიდან მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში.

საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს სავაჭრო დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება 2 498 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2023 წ. 2 616 ათასი აშშ დოლარის), ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 11 736 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2023 წ. 11 294 ათასი აშშ დოლარის).

ასევე, რისკის შემცველია ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაზრები, რისთვისაც ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაზრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი მისაღები ანგარიშების სტატუსიც.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
2024 წ.	8.10%	(186)
	-2.00%	44
2023 წ.	18.84%	(467)
	-18.84%	467

ლიკვიდურობის რისკი - ჯგუფის ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

ჯგუფის მიზანია, დაკავშირებული მხარეების სესხების გამოყენებით ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც ის არ ფლობს ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

ჯგუფი არ ფლობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. იგი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას, რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

6. ჯგუფში ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში საქმიანობა

ტერმინალში ფუნქციონირებს საკუთარი შრომის უსაფრთხოების, ჯამრთელობისა და გარემოს დაცვის განყოფილება რომლის ფუნქციებში შედის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონების კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა.

ნავსადგურის ტერიტორიის და აკვატორიის დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს ჩამდინარე წყლები (სამეურნეო-ფეკალური და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო) და საყოფაცხოვრებო ნაგავი, ასევე ნავთობ შემცველი წყლები და საყოფაცხოვრებო ნაგავი, რომელიც წარმოიქმნება გემების მექანიზმების ექსპლუატაციის შედეგად. ამას გარდა, გემების ბუქსირების დროს და სხვა ავარიული სიტუაციებიდან გამომდინარე, არსებობს ავარიული დაღვრების შემთხვევები.

ჯგუფი ეკოლოგიური პოლიტიკა ითვალისწინებს ჯანსაღი, მდგრადი გარემოს შექმნას, საწარმოო საქმიანობის შედეგების ზემოქმედების შესუსტების ხარჯზე, გარემოს დაბინძურების პროფილაქტიკას, ნედლეულისა და მასალების, ტრანსპორტის, წყლის და ენერგო მოხმარების რაციონალურ მოხმარებას, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების, ჩამდინარე წყლების მოცულობის შემცირებას; საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას. დასახული ამოცანების მიღწევის მიზნით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში დანერგილია ISO 14001:2004 (2022 წ. გაცემული სერტიფიკატი, United Registrar of Systems Ltd.) გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემის სტანდარტი.

ჯგუფში ეკოლოგიის და საწარმოო სანიტარიის საკითხებთან დაკავშირებით, შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოების და გარემოს დაცვის განყოფილება ყოველწლიურად ატარებს კომპანიის საქმიანობის აუდიტორულ შეფასებას ქვემოთ მოყვანილი კანონების და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„გარემოს დაცვის შესახებ“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, „ატმოსფერული ჰაერის

დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „ზღვის, წყალსატევების და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წიაღების შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხო და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტების და საკურორტო ადგილების სანიტარული ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „მავნე ნივთიერებით გამოწვეული ზარალი კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტების და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე მთავრობის და საქართველოს სამინისტროების მიერ გამოცემული გარემოს დაცვის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**მმართველი დირექტორი
ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში**

დ. მუსლიმოვ

შემსრულებელი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 1 აპრილი 2025

დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „ზღვის, წყალსატევების და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წიაღების შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხო და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტების და საკურორტო ადგილების სანიტარული ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „მავნე ნივთიერებით გამოწვეული ზარალი კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტების და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე მთავრობის და საქართველოს სამინისტროების მიერ გამოცემული გარემოს დაცვის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მმართველი დირექტორი

ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში



დ. მუსლიმოვ

შემსრულებელი

საგემო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 1 აპრილი 2025

